

# ლიცენზირებული საშუალო



საშურის მუნიციპალიტეტის ბაზეთ „საშურის მოამბის“ ღამათემა  
№8-9, 28 ღეკემბერი, ორშაბათი, 2020 წელი

\* \* \*

არაფრის დარდი არა გვაქვს,  
ოღონდ ვსვათ, ვჭამოთ, ვიძინოთ!..  
და როცა შეურაცხგვყოფენ, –  
ხელუბრუნებლად ვითმინოთ.  
გავშალოთ სუფრა მდელიოზე,  
ვიძახოთ ჰარი-ჰარალი!..  
გზადაბნულთა რად გვინდა,  
რომ გზა ვიცოდეთ სავალი...  
ის არ გვაფიქრებს, გვადარდებს,  
მტერი კარს გვიდგა მრავალი,  
არც რო გვნადიან, შევიტყოთ  
ჩვენის წყულულების წამალი!..  
დაჩერჩეტობენ მრავალნი,  
ატყაპუნებენ ყურებსა,  
ტყავი გააძრეს ქვეყანას,  
ჯიბეს იყრიან ფულებსა...  
კაცებად იმათვე სთვლიან,  
ამ ხალხის მცარცველ თულებსა!..  
ქვეყნის ჭკვა-გრძნობას რა ვუთხრა,  
ქვეყნის სამართალს მქისესა,  
იუდას საკმელს უკმევენ,  
ჯვარზე აცვამენ ქრისტესა!..  
ბრბო მაინც არ გათეთრდება,  
რაც უნდა ხეხო ქვიშითა,  
იმის სიყვარულს მოიხვეჭ  
მხოლოდ ძალით და შიშითა!

ვაჟა - ფშავლა



მასონთა ლოჟა

დღეს, უკვე, არავისთვის საიდუმლოს არ წარმოადგენს მასონთა არსებობა და არც მათი იდეები თუ გეგმები იდუმალებით მოცული. დღეს, უკვე, თვალნათლივ ვხედავთ, თუ როგორ იმართება მსოფლიო პოლიტიკა ვიღაც „ერთეულთა“ მიერ. იმასაც ვხედავთ, თუ როგორ არის ერთმანეთზე გადაჯაჭვული ქვეყნებს შორის ურთიერთობათა საკითხები და, ხელოვნურად, როგორ ხდება საზოგადოებაში კრიზისის და სოციალური პრობლემების მანიპულირება.

მასონობა თავის დროზე შეიქმნა, როგორც საზოგადოების მართვის გარკვეული მექანიზმი და ამის შესახებ, მეტნაკლებად, ცნობილია ზუსტი თუ არაზუსტი ფაქტები. ეს არის დიდი ხნის წინ შექმნილი და, დღემდე, გეგმიური ნაბიჯებით მავალი ადამიანთა ჯგუფი (თუ ჯგუფები), რომლებიც უკვე, საუკუნეებია, წარმართავენ ადამიანთა ცხოვრებას და ხელთ უპყრიათ მართვის სადავეები.

და მაინც, ვინ არიან ისინი? რა სოციალური ფენის და როგორი აზროვნების ადამიანები? – ამ კითხვებზე პასუხის გაცემა არც თუ ისე ადვილია, თითქმის – შეუძლებელიც, თუმცა, მათი საქმიანობის და არსებობის ძირითად პრინციპებში გარკვევა, თავისთავად, მიუთითებს იმაზე, თუ როგორ ბნელ ძალასთან გვაქვს საქმე. ეს ბნელი ძალები ძალიან არიან ჩვენში შემოჭრილები, ცდილობენ ჩვენს დაპყრობას. ამიტომ, თავის დახრა და უსიტყვო მორჩილება კი არა, უფრო მეტი ყურადღება, წინდახედულება, უფრო მეტი ცოდნა გემართებს მათზე და, რაც ყველაზე მთავარია, ღვთისადმი რწმენა, მოკრძალება და მორიდება გვესაჭიროება, რადგან ძალიან კარგად ვიცით, მხოლოდ საკუთარი ძალებით, ღვთის დახმარების გარეშე არასოდეს გაუმარჯვია ადამიანს და ვერც ვერასოდეს გაიმარჯვებს.

და მაინც, ვინ არიან ისინი? ისინი არიან ბევრნი, თითქმის ყველანი და მაინც, „ერთეულები!“ მათი ძირითადი და მთავარი პრინციპია „ახალი მსოფლიო წესრიგის“ დამყარება, სადაც არ იქნება ეროვნული განსხვავება, სადაც ამ უეროვნებო ადამიანებს ეყოლებათ ერთი მმართველი. ვინ? – ეს, შეიძლება, ან იციან, ან არა. ისინი ელოდებიან მესიას! მოგვეხსენება, ისრაელმა ვერ შეიცნო ნანინასწარმტყველები ქრისტე ღმერთად და მხსნელად, ამიტომაც, არ მიიღეს და ჯვარს აცვეს იგი.

ებრაელები პოლიტიკური ლიდერის მოსვლას ელოდნენ, რომელიც გაათავისუფლებდა მათ არამართო რომაელთა ბატონობისაგან, არამედ, ყველა სხვა ხალხზე გააბატონებდა. ისრაელთა მაშინდელი მენტალიტეტისათვის სრულიად მიუღებელი და გაუგებარი აღმოჩნდა ქრისტეს არსი და, ზოგადად, – სამების. მიუხედავად იმისა, რომ ქრისტეს მოწაფენი და მოციქულები ებრაელები იყვნენ, ერმა მაინც უარყო მაცხოვარი, ამიტომაც იყო, რომ მათ დაკარგეს ღვთის რჩეულობა.

თუმცა, ისინი მაინც ღვთის რჩეულად მიიჩნევენ თავს და კვლავაც ელოდებიან მესიას, რომელიც თავიანთ ერში უნდა განკაცდეს. ამ იდეით შეპყრობილები, იმდენად მძლავრობენ და მზავაობენ, რომ ვინც მიიღო და ინამა იესო, მათაც კი, არწმუნებენ, რომ უფალი, თურმე, არც ყოფილა, და რომ ნიცშესეული „ზეკაცის“ მაგვარი თუ მუჰამედის მსგავსი ადამიანი იყო, ან უბრალოდ, ერთ-ერთი განსხვავებული ანგელოზი, რომელმაც ამ მდგომარეობას საკუთარი თავის შემეცნებით მიაღწია და ამით ამაღლდა იგი სხვა ადამიანებზე, ისევე, როგორც ბუდა.

ამრიგად, მათი მთავარი პრინციპი არის დაამყარონ ერთიანი მმართველობა და ერთიანი რელიგია – იუდაიზმი!

აქედანაც ჩანს, რომ სწორედ, თავის დროზე, ღვთისგან გამორჩეული ებრაელი ერი გვევლინება ღვთის უარყოფელ და ღვთის მგმობ ერად. თუმცა, მათში ბევრია დღეს და იყო მაშინაც ჭეშმარიტად ღვთისნიერი ადამიანი.

ნურც ის დაგვაინწყდება, რომ პირველი ქრისტიანები სწორედ, ებრაელები იყვნენ. მათი რელიგია – იუდაიზმი სხვა არაფერია, თუ არა პირდაპირი გამოწვევა და ბრძოლა ქრისტიანობაზე და უფალზე! თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე იუდაიზმი საკმაოდ არის დაცილებული ძველათქმისეულ იუდაიზმთან, რაც შუასაუკუნეებრივი ებრაული ფილოსოფიის ჩასახვამ გამოიწვია. მათ ნეოპლატონიზმის და მისი მისტიციზმის გავლენა განიცადეს. ებრაული

ფილოსოფია, ჯერ იყო და, მოსეს რჯულის, მოსეს ხუთნიგნელის – თორასა და ანტიკური ფილოსოფიის დაახლოებამ წარმოშვა, შემდგომ კი განვითარდა ნეოპლატონური, არისტოტელური და კაბალისტური მიმართულებები. ეს უკანასკნელი ყველაზე საინტერესოა იმდენად, რამდენადაც მისი საიდუმლო სწავლებები კვებავდა სხვადასხვა დროს სხვადასხვა ოკულტურ მიმდინარეობას, დაწყებული ალქიმიიდან, დამთავრებული ანთროპოსოფიით. კაბალა დღემდე თავს საიდუმლო მოძღვრებად ასაღებს. ცნობილია, რომ სწორედ კაბალისტები არიან ის ადამიანები, ძალაუფლების და საზოგადოების ბატონობისკენ რომ ისწრაფვიან...

შეიძლება ითქვას, რომ ებრაელი ერი საინტერესო ფენომენია ამ სამყაროში. საინტერესო და მეტად უცნაურიც! (და არანაკლები ვართ ჩვენც, ქართველებიც, თუმცა, ეს ცალკე სასაუბრო თემაა).

როგორც აღვნიშნეთ, მასონობა, გარკვეულწილად, ებრაელიზმსაც გულისხმობს, თავისი ფართო გაგებით, თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მასონობის წარმოშობა თუ შემდგომი მისი განვითარება მხოლოდ ამ ერის დამსახურებაა. არამც და არამც!

არსებობს სხვადასხვა ლეგენდა და ვერსია ეგვიპტელ თუ ქალდეველ ქურუმთა მოღვაწეობასა და მათ მასონურ მსოფლმხედველობაზე. არც შუასაუკუნეების და შემდგომდროინდელი ევროპა უნდა გამოგვჩვენოს მხედველობიდან, როცა ერთმანეთის მიყოლებით იქმნებოდა და ყალიბდებოდა შოტლანდიური თუ ინგლისური „ლოჟები“. იქმნებოდა სხვადასხვა საძმოები და ორგანიზაციები, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად თუ ერთმანეთთან შეთანხმებით. ამდენად, არსებობს ებრაელების და არაებრაელების, მათივე ტერმინით რომ ვთქვათ – გოების მასონობა, რომლებიც (ზოგიერთ სწავლულთა ცნობით), დღეს, უკვე, დაბალი დონის მასონებად მოიაზრებიან.

მათი მოძრაობები შეუმჩნეველი არ ყოფილა საზოგადოებაში და, რადგანაც საზოგადოების უდიდესი ნაწილისთვის მათი არსებობა მიუღებელი იყო, მიუხედავად იმისა, რომ ბევრ ვერაფერ ინფორმაციას ფლობდნენ მათ შესახებ, ფაქტობრივად, ბრძოლა მაინც გამოუცხადეს (გავიხსენოთ საფრანგეთი). ამიტომაც იყო, რომ ისედაც გასაიდუმლოებული ეს ორგანიზაციები იატაკქვეშა ორგანიზაციებად გადაიქცნენ. თუმცა, მაინც ახერხებდნენ სხვადასხვა ქვეყნების მალალ ემელონებში შეღწევას და უკვე იმდენად მომძლავრდნენ, რომ გადანაცვლეს, შეექმნათ საკუთარი არათუ ორგანიზაციები, არამედ ქვეყანა, სადაც დამკვიდრდებოდნენ, საიდანაც ადვილი გახდებოდა სრულიად სამყაროზე კონტროლი, რასაც სრული წარმატებით მიაღწიეს კიდევ.

ამერიკის შეერთებული შტატები – ეს არის მათი ოცნების აცხადებული ქვეყანა, რომელიც ინდიელთა სისხლზე და ძვლებზეა აშენებული. მათ სჭირდებოდათ და სჭირდებათ ეს ქვეყანა იმისთვის, რომ ახლა უკვე ფრთებგაშლილი, ყოველგვარი წინააღმდეგობების გარეშე დააცხრნენ თავს დანარჩენ მსოფლიოს. შეიძლება ითქვას, რომ ამერიკა არის ის ქვეყანა, სადაც მასონთა მიერ ბევრი რამ იგეგმება და ხორცილდება, თუნდაც ის, თუ რომელ ქვეყანაში რა პრობლემა და რომელი შუღლი დათესონ, როგორ უნდა ჩააგდონ ერები უკიდურეს და გამოუვალ სიტუაციებში და როგორ დაანახონ, მათ მიერ გამოჩენილი კლანჭების საპირისპიროდ, მათკენ გამოწვეული „მეგობრული ხელიც“. ქართველებმაც ვინწინეთ, თავის დროზე, მათი ბრჭყალები, როცა ეროვნული ხელისუფლება გაგვინადგურეს და, დღესაც, კარგად ვხედავთ მათ მიერ გამოწვეულ „მეგობრულ ხელს“, რომელიც კარგს არაფერს გვიქადის, რომელიც პირდაპირი გამოხატვაა და განხორციელება მათი მიზნებისა ჩვენზე. მათი მიზანი კი ყველას მოგვეხსენება – უეროვნო, უენო, უინტელექტო და ზომბირებული ადამიანების შექმნა!

ამიტომაც, მიუღებელი აღმოჩნდა ჩვენი ეროვნული ხელისუფლება „ამა ქვეყნის ძლიერთათვის“, რადგანაც „მომავალი მსოფლიო წესრიგის“ გეგმაში არანაირად არ შედიოდა ჭეშმარიტად ეროვნული და, რაც მთავარია, ქრისტიანულად (მით უფრო, მართლმადიდებლურად) მოაზროვნე ხელისუფლება და საზოგადოება.

ვინ იყვნენ ის „ძლიერნი ამა ქვეყნისანი?“ მოვიყვან ფაქტს უახლესი ისტორიიდან:

ცნობილია, რომ 1990 წლის ნოემბერში, კუნძულ მალტაზე დაიდო ხელშეკრულება საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობასა (მ. გორბაჩოვი და ე. შევარდნაძე) და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ჯორჯ ბუშსა და სახელმწიფო მდივანს შორის. ამ ხელშეკრულების

მიხედვით, რუსეთი თმობდა თავის გავლენას ბალტიის ქვეყნებსა და აღმოსავლეთ ევროპაზე, ხოლო სხვა დანარჩენი რესპუბლიკები კი, კვლავ მის შემადგენლობაში რჩებოდნენ. ამის შემდეგ, პრეზიდენტმა ბუშმა უკრაინის რადაში გამოაცხადა, რომ იმ ეტაპზე შეუძლებელი იყო საბჭოთა კავშირის დაშლა, რასაც უკრაინელი ხალხის დიდი რეაქცია მოჰყვა, ხოლო საქართველოში, ყოველგვარი შეფარვის გარეშე, ბუშის პოლიტიკურ დირექტივას პირდაპირი გზით შეეწინააღმდეგა პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია, რაზეც მან გაფრთხილება კი მიიღო ბუშისგან: დინების სანინალმდეგოდ მიდიხარო! გამსახურდიას საუკუნის ფრაზად ქცეული პასუხი: დინების მიმართულებით მხოლოდ მკვდარი თევზები მიცურავენო – ზუსტად გამოხატავს ქართველთა მეტროდ და შეუპოვარ ხასიათს. ამის შემდგომ, როგორ განვითარდა მოვლენები საქართველოში, უკვე ყველას კარგად გვახსოვს. იყო დანგრეული თბილისი, გაჩანაგებული, გავერანებული და პატივყარილი საქართველო! ქართველთა გენოციდი ქართულ მიწაზე! დაკარგული აფხაზეთი და სამაჩაბლო! ათიათასობით დაკარგული და ცხრა მთას იქით გადახიზნული ქართველობა! მოშლილი ეკონომიკა! სრულ სიბნელეში არსებობის ათეულზე მეტი წელი!

როგორ ფიქრობთ, შემთხვევითი იყო ეს ყველაფერი? ეს იყო ქვეყნის და ხალხის გეგმიური და მიზანმიმართული დანგრევა „იმ ერთეულთა მიერ“, რათა შემდგომში, „მეგობრული ხელით“ გახსნილი სარკმლიდან შემოჭრილიყო ევროპული და ამერიკული სიო და, საბოლოოდ, მომხდარიყო ადამიანთა როგორც ფიზიკური, ასევე, სულიერი დეგრადაცია. ამ ყველაფერმა, მართლაც, უსაშინლესი დალი დაასვა ქართულ ცნობიერებას, აზროვნებას, ქართულ მენტალიტეტს.

სამწუხაროა, დღემდე, მავანნი წყვეტენ ჩვენი ქვეყნის ბედს, მხოლოდ თამაშის წესებია შეცვლილი. საინტერესოა, რომ თანამედროვე დასავლეთი და თვით ამერიკაც, დღეს უკვე „ალიარებს“ და მიიჩნევენ, რომ ე. წ. 90-იანი წლების აშშ-ს პოლიტიკური სტრატეგიის „შეცდომის“ მიზეზი საქართველოში განვითარებული მოვლენები და სისხლიანი ისტორიები იყო. ამ ალიარებით მათ თითქოს ჩვენი ნდობა მოიპოვეს და იმედიც ჩაგვისახეს...

კაცობრიობის პროგრესულმა განვითარებამ რომ ადამიანების სულიერი რეგრესი გამოიწვია, ეს არახალია. იმდენად გვიპყრობს დღეს კომფორტი და, საერთოდ, მატერიალიზმი, იმდენად დამოკიდებული გავხდით მასზე, რომ ადვილად ვნებდებით ნებისმიერ საცდურს. საცდური კი ერთიორად მომრავლებულია დღეს, ვიდრე ოდესმე. ამდენად, მათი (მასონთა) საუკუნეებრივი ცდა და ლოდინი გამართლებულია! ამიტომაც, უფრო მეტი მონდომებით აგრძელებენ ისინი ჩვენზე მუშაობას. ტელევიზია, რადიო, პრესა, ზოგადად, მასმედია მათი მთავარი იარაღია, რითაც ხდება ადამიანების მასიური დაპყრობა და დამორჩილება, ე. წ. უწყინარი მეთოდებით. ხელოვნების თუ სპორტის თითქმის ყველა სახეობა მათ სამსახურშია. მუსიკა, კინო, თვით ყველასათვის საყვარელი ფეხბურთი, დღეს, მასობრივი სანახაობის ელემენტია, რომლის წყალობითაც არათუ მილიარდები კეთდება, არამედ ხდება სრული გონებრივი იზოლაცია მასებში.

კომპიუტერიზაცია (ადამიანის უდიდესი გამოგონება) ეშმაკეულად აქციეს. ენერგორესურსები ქვეყნებს შორის ომების და სისხლისღვრის მიზეზი და მიზანია. ხოლო ერებს შორის შუღლი მშვიდობისმოყვარე ადამიანს ეროვნულობის მოშლის აუცილებლობას აფიქრებინებს და, ერთ დღესაც, ალბათ, მისი განხორციელებისკენაც უბიძგებს კიდეც... ადამიანი ეთნიკური, ენობრივი თუ კულტურული ტრადიციებით იყო, არის და იქნება საინტერესო და რა დარჩება მისგან, თუ იგი ყველას მსგავსი, ყველა კი მისი მსგავსი გახდება?

დღეს შეიცვალა ჩვენი აზროვნებაც. არ ვიცით, რა გვინდა, რატომ და რისთვის გვინდა. ადრე, თუ ადამიანი ზოგადსაკაცობრიო თემებით იყო დაინტერესებული, ფიქრობდა, რატომ გაჩნდა ამ ქვეყანაზე, რა იყო მისი არსებობის მიზანი, ვინ შექმნა იგი და ა.შ. დღეს, თითქოს, ამ ყველაფერზე უკვე აქვს პასუხი და აღარ ცდილობს, თავად ჩანვდეს სიცოცხლის თუ სიკვდილის არსს, აღარ აინტერესებს ის სულიერი ღირებულებები, რითაც ადრე იკვებებოდა. მისი მაღალზნობრივი ინტერესები დაკნინებულია და მისი აზროვნება მხოლოდ მატერიალურზე ფიქრით და ოცნებით შემოიფარგლება.

ყველას კარგად მოგვეხსენება, მე-20 საუკუნის ბოლოს შექმნილმა სიტუაციებმა როგორი განუკითხაობა, უმუშევრობა, სიღარიბე და, თავის გადარჩენის მიზნით, ადამიანთა მასობრივი ემიგრაცია გამოიწვია. ეს პროცესი, სამწუხაროდ, დღემდე გრძელდება. უცხოეთში

გადახვენილი ქართველები სამშობლოში დაბრუნების სურვილს თუ არა, ინტერესს, ნამდვილად, კარგავენ. ადრე, თუ ჩვენი წინაპრებისთვის ტრაგედია იყო უცხოელზე დაქორწინება და, ეს, მხოლოდ პოლიტიკური და ქვეყნისთვის სასარგებლო აუცილებლობით იყო გამოწვეული, დღეს აღარ აინტერესებს ქართველს ზოგად-ეროვნული საკითხები და მხოლოდ პირად კეთილდღეობაზე მზრუნველი, არად დაგიდევს სხვა ეროვნების და ტრადიციების მქონე, გაურკვეველი გენეტიკისა და ცნობიერების ადამიანებთან დაკავშირებას და შვილების გაჩენას. „კოსმოპოლიტიზმი“ და „თავისუფლება“ ძალიან ცუდად გავიგეთ!..

განსაკუთრებული ინტერესით მინდა მივუდგე რელიგიის თემასაც, რადგან სწორედ, რელიგია გახდა კაცობრიობის ისტორიაში ადამიანთა არამარტო აზროვნების და რწმენის საფუძველი, არამედ – დაპყრობის და დამორჩილების საუკეთესო საშუალება. საუკუნეების განმავლობაში სისხლისმღვრელი ბრძოლა მიმდინარეობდა ტრადიციული რელიგიების წინააღმდეგ (გავიხსენოთ, თუნდაც, ჯვაროსნული ლაშქრობები). ადამიანებზე ნდობისა და მით უფრო, მათზე ბატონობის გასაძლიერებლად, დროთა განმავლობაში, ცვლიდნენ ბრძოლის მეთოდებს და, დღეს, უკვე ყველაზე საუკეთესო გზა აქვთ ნაპოვნი. ტრადიციულ რელიგიებს ათასგვარი სექტებითა თუ განსხვავებული ე.წ. „ფილოსოფიური“ მიმდინარეობებით ებრძვიან.

დღეისათვის ფართო გავრცელება აქვს ინდო-ჩინურ რელიგიას, ოქროს ხანა უდგას ბუდიზმს თუ ინდუიზმს, დაოსიზმს თუ კრიშნაიზმს, ოშოს კულტი თუ ფროიდიზმი ნორმალურ და, ლამის, ყველაზე მისაღებ ფორმად მიიჩნევა. ისლამი და კათოლიციზმი მძლავრობს. მართლმადიდებლობის „რადიკალურად შესაცვლელად“ კი ფართო მასშტაბიანი ბრძოლაა გამართული ეკლესიის წიაღში.

აქვე, არ შემოძლია არ შევეხო ჩვენში ყველაზე ფართოდ გავრცელებულ „იელოვას მონმეთა“ სექტას თუ ორგანიზაციას, რომელთა სწავლება პირდაპირ მიუთითებს მასონიზმზე. ისინი „ახალ ერას“, იგივე „ახალ სისტემას“ მოელიან დედამიწაზე, სადაც არ იქნება არავითარი ეროვნული განსხვავება ადამიანებს შორის, ყველანი იქნებიან „ერთნი“ და „გადარჩებიან“ მხოლოდ „ისინი“.

სხვათაშორის, ღმერთის ეს ერთ-ერთი სახელი – „იელოვა“, ანუ „იაჰვე“ მასონთა ერთ-ერთ სიმბოლოდაც არის მიჩნეული და მას თავისი ისტორიაც აქვს. სახელი „იელოვა“ ებრაულად ნიშნავს „მყოფს“, ანუ იმას, ვისაც თავის თავში აქვს მყოფობა. ე.ი. მუდმივად არსებობა და ქართულად ასე ითარგმნება: „მე ვარ, რომელიც ვარ“ ანდა – „მე ვარ მყოფი“. როგორც ვხედავთ, თავისი მნიშვნელობით იგი სრულიად გამოხატავს მასონთა ამბიციებს, რომ ღმერთით იყვნენ ყველგან და მყოფობდნენ ყველაფერზე. ამიტომაც არის, ალბათ, რომ ღმერთის ეს ერთ-ერთი სახელი (და არა ერთადერთი, როგორც ამას იელოველები ამტკიცებენ თავიანთ უცნაური წარმომავლობის ბიბლიაში, სადაც უფლის ყველა სახელი მხოლოდ იელოვათია გადმოცემული), სათავისოდ გამოიყენეს.

ეს სახელი კი – იჰვჰ, როგორც ბიბლიიდან ჩანს, პირველად, სწორედ მოსეს ეუწყა სინას მთაზე. შემდგომი დროის ებრაელები დიდად ერიდებოდნენ და ეკრძალებოდნენ კიდეც ამ სახელის წარმოთქმას, ერთადერთი, მღვდელმთავარი წარმოთქვამდა და, ისიც, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა იერუსალიმის ტაძრის წმინდათა წმიდაში შედიოდა.

საინტერესოა თვით იერუსალიმის ტაძრის ისტორია იმდენად, რამდენადაც ამ ტაძარს უკავშირდება სწორედ იუდაიზმის და, შემდგომ, მასონიზმის განვითარებაც. პირველი ტაძრის აღმშენებელმა, მეფე სოლომონმა თავის ხუროთმოძღვარს დაავალა, შემოეღო საიდუმლო ნიშნები და სიტყვები, რათა საიდუმლო წევრებს ამით ეცნოთ ერთმანეთი. რაში დასჭირდა ამ ყველაფრის გამოგონება მეფეს – ამაზე მრავალი სხვადასხვა მოსაზრება არსებობს, თუმცა, ერთი რამ კი უეჭველია: უფლის რჩეული ერი, ალბათ, უდიდეს საკაცობრიო საიდუმლოებებსაც ფლობდა, რომელთა გამჟღავნება მაშინდელი ადამიანების გონებასა და აზროვნებას ალემატებოდა. (ზოგადად, ეზოთერიზმიც ხომ სოლომონისეულ სიბრძნეს ნიშნავს,) მით უფრო, რომ სადაც ტაძარი შენდებოდა, მოიაზრებოდა სწორედ იმ ადგილად, სადაც ბიბლიურმა აბრაჰამმა აიყვანა თავისი ძე ისააკი ღვთისადმი შესანიშნავად. ამდენად, დიდი მისტერიული ცოდნა და რწმენა იყო ამ ტაძრის აშენებით გაცხადებული და, ამასთან, გასაიდუმლოებულიც. შემდგომ ამისა, ეს ტაძარი ბაბილონელებმა დაანგრიეს, თუმცა, შემდეგ, კვლავ აღადგინეს, მთელი თავისი ბრწყინვალეობით, მაგრამ

მინც არ ენერა არსებობა ამ ტაძარს. ქრისტეს შობიდან 70 წელს, რომაელებმა, აჯანყებულ ებრაელთა დასჯის მიზნით, კვლავ დაანგრეს იგი, ამჯერად სამუდამოდ. (ამ, მეორედ დანგრეული ტაძრის ნანჩად ითვლება „გოდების კედელი“, რომელსაც თავისი სარწმუნოების ძირითად სალოცავად მიიჩნევენ დღეს იუდეველები), ამ ტაძრის დანგრევასთან ერთად წყდება თვით ებრაელთა ღვთისმსახურება, ზოგადად, მღვდელთმთავრობაც და, შესაბამისად, ამ სახელის წარმოქმაც კი.

რამდენადაც ცნობილია, სიონიზმი შეიქმნა როგორც ებრაელთა ეროვნული მოძრაობა, რომელიც არარელიგიური მოძრაობის სახელით იყო ცნობილი. თუმცა, დღემდე, ის მხოლოდ რელიგიური დატვირთვის მატარებელია. სიონიზმის შექმნასთან და ჩამოყალიბებასთან ერთად, აუცილებელი გახდა და საჭირო, არამარტო, „ძველი ახალი მიწის“ აღდგენა, არამედ, იმ ძველი „კულტურისა და ტრადიციის“ აღდგენაც, რაც ამ ერს გააჩნდა ათასწლეულების წინ.

უფლისგან უწინ გამორჩეული ებრაელი ერი, ღვთის გმობის და ღვთის უარყოფის გამო, იმდენად იყო მიმოფანტული მთელ სამყაროში, რომ საკუთარი სამშობლოც კი არ გააჩნდა. მე-19 ს-ის ევროპაში, როცა იმძლავრა ნაციონალიზმმა და „ერების გამოღვიძებამ“, (არც ეს იყო შემთხვევითი), რაც გამოიხატა პოლონეთის აჯანყებებში, იტალიისა და გერმანიის გაერთიანებული სახელმწიფოს შექმნაში, ირლანდიის ავტონომიისათვის ბრძოლაში და ა.შ. ამ, და სხვა პროცესებმა გავლენა მოახდინეს სხვადასხვა ერების ცხოვრებაში, განსაკუთრებით კი ებრაელების აზროვნებაში. მათ აღმოაჩინეს, რომ მათ გარდა, ყველა ერს განსაზღვრულ ტერიტორიებზე გააჩნდა საკუთარი ეროვნული სახელმწიფოს შექმნის პრეტენზია.

მე-19 ს-ის ბოლოს ევროპაში გაძლიერებულმა ანტისემიტობამ ებრაელებს გაუღვივა სურვილი და ინტერესი, რომ რომელიღაც ქვეყნის ტერიტორიაზე გამოეთქვათ საკუთარი ქვეყნის შექმნის პრეტენზია. ცნობილია, რომ ასეთ ტერიტორიებად ხან უგანდას მოიზარებდნენ, ხან იემენს, მაგრამ სიონისტთა უმრავლესობა შორეული წინაპრების მიწას – პალესტინას ემხრობოდა, რომელიც მათთვის იყო სიონი. (აქედან მომდინარეობს ამ მოძრაობის სახელწოდებაც. ხოლო სიტყვა „სიონი“ და „იერუსალიმი“ კი ებრაელთათვის სინონიმებია და გადატანით აღნიშნავს არა მარტო ქალაქს, არამედ ისრაელის მთელ მიწას). სიონისტებს, თორავს თანახმად, მათი ამ იდეის მთავარ არგუმენტად მოჰყავდათ ის, რომ თურმე ებრაელთა ღმერთმა იახვემ (იელოვამ) თავის რჩეულ ხალხს აღუთქვა ქანაანი, ანუ ტერიტორიულად დღევანდელი პალესტინა. მათ, მართლაც, დიდი პოლიტიკური თამაშებით მიაღწიეს იმას, რომ დაიკავეს და დაიპყრეს პალესტინა. მოგვეხსენება, რომ დღემდე მიმდინარეობს ამ ტერიტორიებისათვის ბრძოლა, პალესტინელები და არაბული ქვეყნები არ თმობენ, ვერ ურიგდებიან მათ მიწაზე თუ მათ მეზობლად ებრაული სახელმწიფოს შექმნას, რადგან ისინი ცდილობენ, არათუ დაიბრუნონ „ძველი-ახალი მიწები“, არამედ, სურთ, რომ იერუსალიმის ტაძრის ადგილას ამჟამად მდგარი მეჩეთიც კი დაანგრეონ, რათა კვლავ ააშენონ ის დიდებული ტაძარი და აღადგინონ მათი უძველესი ებრაული ღვთისმსახურება და, ზოგადად, მღვდელთმთავრის ინსტიტუტი და იმეფონ მთელ ქვეყნიერებაზე. ეს, უკვე, პირდაპირი ბრძოლაა ისლამის წინააღმდეგაც.

მიუზღვრუნდეთ ისევ იელოვას მონმეთა სექტას. ვინც ოდნავ მაინც ჩახედულია მათ სწავლებაში, ძალიან ბევრ საერთოს იპოვის მათსა და, ზოგადად, ებრაელ-სიონისტთა იდეებში. მათი იდეოლოგია ერთმანეთის იდენტურია. მხოლოდ მოძრაობის ფორმებია სხვადასხვა. თვით ღმერთის ერთ-ერთი სახელიც კი ერთნაირად აქვთ შერჩეული. არადა, ჩარლზ რასელი – ამ სექტის დამაარსებელი, სულაც არ იყო ებრაელი, თუმცა, როგორც ჩანს, მაინცდამაინც, ებრაელობა არაა საჭირო იმისთვის, რომ გახდეს მასონი და ებრაელთა იდეების გამტარებელი. რასელი კი, ნამდვილად, იყო მასონი და ამისი დამამტკიცებელი ოფიციალური საბუთებიც არსებობს ამერიკაში. მას არანაირი განათლება არ გააჩნდა, მაგრამ მაინც შეძლო და მიაღწია იმას, რომ შექმნა ისეთი უდიდესი სექტა, რომელთა რაოდენობა დღეს უკვე მილიონებს ითვლის და ეს სულაც არ არის შემთხვევითი ფაქტი.

ამდენად, ჩემი აზრით, მათ საჭიროდ ცნეს იელოვას სახელის მქადაგებელთა თუ მლაღაღებელთა ადამიანების შექმნა, რათა, შემდგომში უცხო არ ყოფილიყო კაცობრიობისთვის სოლომონის ტაძრის აშენებისა და ებრაული მღვდელმსახურების აღდგენისას, (რისკენაც ასე თავგამოდებით ისწრაფვიან), უფლის ეს სახელი – იელოვა!!!

ცალკე განსახილველია ეკუმენისტური მოძრაობაც, რომელიც მსოფლიო რელიგიათა დაახლოებას, სხვადასხვა კონფესიური მრწამსების მიღებას, შერიგებას და ჰარმონიას ისახავს მიზნად. ამ მოძრაობის წინამორბედი შუა საუკუნეებში აღმოცენებული ტამპლიერული და როზენკროიციერული მოძრაობა. ტამპლიერების ოცნება იყო ისეთი ერთობის შექმნა, სადაც არ იქნებოდა რელიგიურ ნიადაგზე განსხვავება და დაპირისპირება. მათთვის ყველა რელიგია ერთნაირად მისაღები და პატივსაცემი იყო. გავიხსენოთ ჯვაროსანი ტამპლიერების მოღვაწეობა პალესტინაში, როდესაც ისლამურ სიმბოლოებს ქრისტიანულს უხამებდნენ. ისლამს არ აღიქვამდნენ სიბნელედ, არამედ სიბრძნეს ეძებდნენ მასში. სწორედ ტამპლიერთა დიდი დამსახურებაა დასავლეთში აღმოსავლური სიბრძნის შეტანა. ტამპლიერები და სხვა ეზოთერული მიმდინარეობანი აღიარებდნენ სამყაროში მხოლოდ ერთადერთი რელიგიის არსებობას, რომელიც შემდგომში ადამიანების მიერ იქნა გახლეჩილი სხვადასხვა მიმდინარეობად. ამიტომაც, ისინი ცდილობდნენ იმ პირველ საწყის რელიგიასთან ზიარებას და დაბრუნებას. საინტერესოა, რომ ისეთ ღრმა ქრისტიანულ ქვეყანაში, როგორც საქართველოა, ეს მიმდინარეობა უცხო არ ყოფილა. ალბათ, იმიტომ, რომ კონფესიური შეზღუდულობა და ფანატიზმი ქართველებს არასდროს გვახასიათებდა. ქართველები ყოველთვის მზად იყვნენ რაღაც ახალი მიეღოთ, აღმოეჩინათ, შეესწავლათ, თუმცა, საკუთარს არასდროს უარყოფდნენ. მათ სწამდათ ქრისტიანობა, მაგრამ პატივს სცემდნენ სხვათა რელიგიებს. იყვნენ შემწყნარებლებიც. ქრისტიანობა საქართველოში დოგმა არასოდეს ყოფილა, ამიტომაც, ტამპლიერთა იდეაც ერთ-ერთი ჩვეულებრივი მისაღები ფორმა თუ იდეა აღმოჩნდა მათთვის. ისეთი უდიდესი ქრისტიანი მეფე და წმინდანი, როგორც დავით აღმაშენებელი იყო, მეგობრობდა იმდროინდელ ორდენის წევრებთან. იმასაც ვარაუდობენ, რომ დიდგორის ომში მონაწილე რაინდთაგან უმრავლესნი ტამპლიერები იყვნენ. საინტერესოა, აგრეთვე, ის ფაქტი, რომ იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ქართველი ბერები ტამპლიერ რაინდ-ბერებთან ყოფილან დაახლოებულნი და მათი მოსახსენებლებიც კი არის ნაპოვნი.

აღსანიშნავია ის, რომ ტამპლიერებიც, როცა შევიდნენ იერუსალიმში, დაემკვიდრნენ სწორედ იმ ადგილას, სადაც სოლომონის ტაძარი მდგარა და სახელიც შესაბამისი – სოლომონის ტაძრის ქრისტესმიერი რაინდნი დაირქვეს. მათი იმ ადგილას დამკვიდრება თითქოს ერთგვარი სიმბოლო იყო მაშინ ქრისტიანობისა და სოლომონისეული სიბრძნის სინთეზისა.

ტამპლიერთა მემკვიდრეა როზენკროიციერთა ორდენიც, რომელიც, ასევე, რელიგიათა სინთეზირებას ისახავდა მიზნად, მათი გავრცელებული სიმბოლო იყო ვარდებიანი ჯვარი, რაც ასე აიხსნება: ვარდი, როგორც ისლამის სიმბოლო და ჯვარი – როგორც ქრისტიანობისა. დღეს ეს ორდენიც მასონურ ორდენად მოიხარება.

ამდენად, ე.წ. „მასონობა“ არასოდეს ყოფილა უცხო ქართველთათვის და მეორეც, მასონურ ორდენთა იდეებიც კი იცვლებოდა, დროთა განმავლობაში. დღეს არაფერი დარჩა, ალბათ, იმ პირველყოფილ ტამპლიერთა სწავლებებიდან. გარკვეულწილად იცვლებოდა მათი მიმართულებებიც.

ხოლო დღეს არსებული ეკუმენისტური მოძრაობა ერთიან, საწყის, თავდაპირველ რელიგიასთან ზიარება კი არა, ჩამოყალიბებული სისტემაა, რომელიც თითქოს ყველა რელიგიის სიყვარულით არის განმსჭვალული, სინამდვილეში კი, ყველა რელიგიისგან შორს დგას. (ესეც ცალკე და ვრცლად განსახილველი თემაა)...

**დაუსრულებლად შეიძლება ისაუბრო ამ ადამიანთა, თუ მოძრაობათა, თუ ორგანიზაციათა გარშემო. მაგრამ მაინც ცალსახა გამოგვივა ყოველთვის ამ თემაზე საუბარი, რადგან ადამიანთა მოდგმა მოკლებულია მადლს, რასაც სამყაროს ბოლომდე სიღრმისეული წვდომა ჰქვია და მეორეც, ბოროტებასაც, ისევე, როგორც სიკეთეს და სიყვარულს, არა აქვს საზღვარი. ამდენად...**

**ღმერთი ფარავდეს სრულიად კაცობრიობას!**

მაკა გეგუჩია (კოლხი)

ამერიკაში მცხოვრები ჟურნალისტი

# პოეზია



ფუფუნა ცენგინაშვილი-ჭიჭიანი

## ილია

უნახავთ იმ დღეს,  
 წინამურთან იდგა ირემი,  
 თავანუელი, ნაღვლიანი ცას შებლაოდა...  
 თითქოს სურდა გამიზნული ტყვიის აცდენა,  
 საქართველოს და მამა-მართლის გადასარჩენად...  
 მოსყიდულ ტყვიას  
 მიზანს ვერვინ ვერ შეუცვლიდა...  
 სირცხვილის ლაქა,  
 საქართველოვ, ვერ მოიცილე!  
 კიდევ რამდენი  
 ლალატი გაქვს გადასატანი?!  
 ეს, მერამდენედ, უნდა მოკლან მამა ილია!!!

## ჩიტები

ჩიტო-ჩიტუნებო, ნუთუ, ქორწილი გაქვთ?  
 ჭიკჭიკებთ, ჭიკჭიკებთ, ჭიკჭიკებთ...  
 ნეფე-პატარძლობას რომელი იმშვენებთ?  
 მაყრონს რად არ აქვს სიმშვიდე?  
 ფერადი ფერებით, კუდმაკრატელები  
 თითქოს გამოენწყეთ საგანგებოდ,  
 ჩიტო-ჩიტუნებო, ჩიტო-ჩიტუნებო,  
 საფრენად უსაზღვრო ცა გერგოთ...

## ტკივილი

საზღვრის მიღმა ჭიხვინებენ ის მინდვრები,  
 (ვით უმხედროდ დარჩენილი რაშები)  
 სად კოფჩხილოს, ხანაც ცერცვის, ჩიტის თეროს  
 მოსაძებნად დავდიოდით ბავშვები...  
 საზღვრის იქით, იმ ყანებში დარჩენილა,  
 გვირგვინად რომ ვწნავდი, ლურჯი ღილილო,  
 ისე მტკივა დაკარგული ჩემი მინა, –  
 ლამის არის, ვიკვილო...

\*\*\*

ჩემი პატარა საყვავილე ბალის კართან... იქვე ხის გადანაჭერი,  
 დაკოჭრილი კუნძი დევს. ჩემები ჟუჟოს მუზას უწოდებენ, მე ჩემი  
 პატარა საქართველო დავარქვი...

საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოტანილი ქვებით,  
 კლდის ნამტვრევებით, ნიჟარებით დაფუძმვენე ნაკოჭრევი,  
 საქართველოს დროშაც დავაბნიე და დავამშვენე.

ერთ დღეს გულდაფუტურებული დამიხვდა...

– ვერა, ვერც დასაჭრელად, ვერც დასანვავად გაგიმეტებ, –  
 ჩავჩურჩულე და გული გამოვუსუფთავე, გავწმინდე, გავალამაზე  
 და თავის ადგილს დავაბრძანე. ახლოს ამოსული სურო შემოხვევია  
 და შეუბოჭია. მოვაცილე და ამოვიოხრე:

– ჩემო პატარა საქართველო, როგორ, ყველას და ყველაფერს  
 შენი დაჩაგვრა უნდა...

გაუძელი საყვარელო, გაუძელი, მე შენთან ვარ!!!

\*\*\*

ნეტავ პირველად ვინ ამოგთქვა,  
 დაგარქვა ლექსი?  
 ვინ მოგცა ფრთები,  
 ვინ შეეხო სულის ელექსირს?  
 მოფრინავ რითმით,  
 ლულუნით და ჩუმი შრიალით,  
 ხან პეპლის ფრთებით,  
 ხანაც, კიდევ, ლომის ღრიალით.  
 შენ ხარ მალამო –  
 სიყვარულით ნაიარვის,  
 გულიდან გულში  
 დაფრინავ და დაიარები...  
 ნეტავ პირველად ვინ ამოგთქვა,  
 დაგარქვა ლექსი...

\*\*\*

ერთი უბრალო ქალაი  
 გულს ვამზეურებ ხანდახან  
 და სიყვარულის ცრემლები  
 ჩამომდინდება თვალთაგან.  
 ხან ცისარტყელას, შვიდ ფერში,  
 ჩავექსოვ-ჩავექარგები,  
 მამშვიდებს ყვავილთ სურნელი,  
 გულს ვერ ერევა დარდები.  
 კვლავაც ჩემს ედემ-მამულში  
 ფრთიანდებიან მართენი,  
 მამული – ჩემი სამოთხის  
 ბილიკი – ცით ასაფრენი...  
 სიტყვაო, ნუ შემომწყრები,  
 ლექსო, ნუ დამეკარგები,  
 ჩამოვარიგოთ კარდაკარ,  
 სიყვარულ – გულში ნადები...

\*\*\*

ცხოვრება რაშივით მიჰქროდა,  
 მივდევდი ბორძიკით, ჩანჩალით,  
 უფალმა სიცოცხლე მადროვა,  
 არ ვიყავ ჯაბანი, ლაჩარი...  
 რაც იყო, – იცოდა ამ გულმა,  
 ხურჯინით დამქონდა ტკივილი,  
 ყუჩობდა, არასდროს კიოდა,  
 სულს არ დასცდენია ჩივილი...  
 სიყვარულს ვთესავდი ვარდებად  
 და ამოდიოდა იებად,  
 სიცოცხლის ფიალას რომ დავცლი,  
 სიკვდილი ხომ მეპატიება?



# ყვითელი ხათული

## კაცადქცევის თეორია

– ნავედი, დე. – თითქმის ჭიშკრიდან მიაძახა დედას ფირუზმა და უკან აღარც მოუხედა, ისე დაეშვა დაღმართზე. დედამ თვალი გააყოლა. ქალს გული წყდებოდა სოფლის მასწავლებელზე, რომელმაც დაუმსახურებელი ორიანი დაუნერა წარჩინებულ მოსწავლეს და, ამ მიზეზით, შვილი სკოლიდან კი არა, სოფლიდანაც გარბოდა. „იქნებ, მამასთან წასვლის მიზეზსაც ეძებს და...“ – გაიფიქრა დედამ და ამოიოხრა.

მეორე სამამულო ომმა შეინირა მათი ოჯახის კეთილდღეობა: ჯარის ოფიცერი ოჯახს არ დაუბრუნდა, გურჯაანელი ქალის სიყვარულმა დაათმობია ცოლ-შვილი...

... სახლიდან გასვლისას, ბიჭი, წამიერად შეჩერდა და თითქოს ფიცს დებსო, ჩაილაპარაკა:

– დედა, ნავედი და, თუ კაცი არ დავდექი, იცოდე, არ დავბრუნდები!..

თავდაღმართზე მიმავალს, ერთხანს, შიში შეება ბიჭს: „მიიღებს კი? უნდა მიმიღოს!“ – თითქოს საკუთარ თავს უმტკიცებდნენ, წამოიძახა და გზა განაგრძო.

16 წლის ბიჭისთვის იოლი არ იყო ცრემლიანი დედის დატოვება და დედინაცვლის კარზე თავშესაფრის ძებნა. მაგრამ სხვა რა გზა ჰქონდა! თვითონაც უკვირდა – ანდამატივით იზიდავდა რალაც და, თუ რა, ვერ გაეცნობიერებინა... ნუთუ, გენი იმ გარიჟრაჟს შეჰყიოდა, რომელზეც მამის სახის კონტურები იბლანდებოდა? მამისა, რომელმაც შვილების ტვირთი მტვერივით ჩამოიბერტყა მხრებიდან.

რა დაავიწყებს იმ დღეს, როცა ოჯახის გადანყვებილებით,



ფირუზ ჩინჩიასძე თავის სამუშაოების ერთად

მამიდან, დასთან ერთად, კახეთში მამასთან ჩაიყვანა! უბედნიერესი იყო, რადგან მამა იპოვა. ბიჭი იყო და მამის მფარველობა უნდოდა. უკვე მეტად აღარ შენატრებდა იმ თანატოლებს, რომლებიც მამით ამაყობდნენ...

ბავშვებმა ერთი წელი გაატარეს მამასთან. ერთი წელი სკოლაში არ უვლია და-ძმას, რადგან ჩაუნერლები იყვნენ, სკოლამ არ მიიღო. მეზობლის ბავშვებს დაუმეგობრდნენ, მათ შორის, დედინაცვლის შვილებსაც.

არ გამართლდა დედისა და ბებიის ვარაუდი – იქნებ ბავშვების სიყვარულით გული მოუბრუნდესო, – მამა ოჯახს არ დაუბრუნდა! დედამ შეუთვალა შვილებს: ჩამოდით, გულს ნუ დაიჩაგრავთო და ისინიც, გულდამძიმებულნი, უკან გამოყვნენ მამიდას.

მას შემდეგ რვა წელი გავიდა და ერთხელაც არ მოუნახულებია მამას! ბევრი გაჭირება ნახეს! სკოლაში წასული ბიჭი, ფეხშიშველი ჩაირბენდა წყარომდე, იქ ფეხს დაიბანდა, ქალამნებს ამოიცვამდა

და კლასში ამაყად შევიდოდა. მაგრამ იმის გაფიქრება, რომ მამა სხვის შვილებს ეფერებოდა, უარეს ცეცხლს უნთებდა!

ბიჭმა უკვე იცოდა, რომ მამის ოჯახი თბილისში გადმოსულიყო საცხოვრებლად. მივა და შეახსენებს, რომ მისი შვილია! იმასაც ეტყვის, რომ დაუმსახურებლად დაჩაგრეს და იქნებ, იმიტომაც, რომ მამა არ ედგა გვერდით!

მიაგნო...

– მდააა, – იჭვნულად გააქნია თავი მამამ, როცა შვილის მასთან დარჩენის სურვილი მოისმინა. – მერედა, სად დაგანვიწო ამ ერთ ოთახში?

ბიჭს, წამიერად, მუხლები მოეკეცა, ბედნიერებისგან გაპობილი ტუჩები სიმწრით მოიკვნიტა და ის იყო, იფიქრა, უნდა ნავიდე აქედანო, რომ კაცადქცევის პირობა გაახსენდა, სახე გაუკუმტდა, ისეთი ფოლადისებრი ხმა ამოუშვა, თვითონვე შეცბა:

– მე აქ ვრჩები, ვერსად ვერ წავალ!

ბიჭი თბილისში, ნავთლუხში, დედინაცვლის ბებიასთან გადააბარგეს. ლოგინად ჩავარდნილ ქალს კეთილ ანგელოზად მოევილინა ფირუზი. უვლიდა, სკოლიდან ბაზარში გამოივლიდა, მისი კარნახით სადილსაც ამზადებდა. ერთ დღეს ქალი წუთისოფლიდან გავიდა, ფირუზი კი – მისი ბინიდან. ამასობაში, სკოლაც დაამთავრა და მიზანდასახულმა ბიჭმა ინსტიტუტს მიაშურა. აქაც იმედი გაუცრუვდა, გული ეტკინა, რადგან, თვითონ უარყოფითი შეფასება მიიღო, ხოლო, ვინც მისგან გადაინერა, – დადებითი...



სამხედრო სავალდებულო სამსახურის დროც მოვიდა. 1959 წლის 16 ოქტომბრიდან ფირუზის ცხოვრების კალენდარზე ახალი დროის ათვლა დაიწყო. კანსკუმი განაწილებული, ჯერ სტელოკრადისტების სამხედრო სკოლაში შედის, შემდეგ, იგივე პროფილით, სწავლას კრასნოიარსკში აგრძელებს და როგორც ფრიადოსანს, საქართველოში, ვაზიანის ნაწილში აბრუნებენ. ორი წელი, როგორც სერჟანტმა, სამხედრო აეროდრომზე იმსახურა. სამხედრო სამსახურის დასრულების სიხარულს ცეკვა-თამაშით აღნიშნავდნენ ბიჭები, მაგრამ მისი გული დახშული იყო. თითქმის ყველამ გამოითხოვა საბუთები, ფირუზის გარდა. როდესაც მეთაურმა ჰკითხა, საბუთების აღებას და წასვლას



რად აგვიანებო, უპასუხა: წავალ, მაგრამ სად? – არ ვიციო... სამხედრო ნაწილის მეგობრებმა იცოდნენ მისი მდგომარეობა და გულწრფელად თხოვდნენ – ჩვენთან წამოდი, ძმად მიგიღებთო.

შენუხდა ნაწილის მეთაურიც – რომან ილიას ძე აბლაგაცკი. მან, ჯერ თავისი ოჯახი შესთავაზა ბიჭს, მაგრამ უარი რომ მიიღო, სხვა გზა მოძებნა: ულიანოვსკში დაურეკა მეგობარს, სთხოვა – კაცს გიგზავნი და ოფიცრის ნოდებით უნდა დამიბრუნოო. ბილეთიც თვითონ აუღო და გაამგზავრა.

გენერალ-მაიორმა მარინოვსკმა მიიღო ბიჭი. მისი სასწავლო ისტორიის მიხედვით, საგნები დაუმატეს და ერთი წლის შემდეგ, დაპირებისამებრ, ლეიტენანტის ნოდებით დაბრუნდა უკან. აბლაგაცკის შუამდგომლობით, ფირუზი ვაზიანის კავშირგამბულობის ნაწილში, რომელიც ავიაციას ეკუთვნოდა, რადიოსადგურის უფროსად დანიშნეს. შემდეგ, თბილისში, „კუკიაზე“ მსახურობდა „პოლკსვიაში“. ამის შემდეგ, 15 წლის მანძილზე, პოლიტმუშაკი იყო სამხედრო ნაწილში. 1970 წლიდან ხუთი წელი გერმანიაში იმსახურა. შემდეგ – სენაკში, ბოლო ათი წელი კი – აეროპორტის სამხედრო ნაწილში, რომელიც ფრენებს ემსახურებოდა. ამასობაში, მუშაობის 30 წელი შეუსრულდა და პენსიაზეც გაუშვეს. თუმცა, ჯერ კიდევ შრომისუნარიანმა, მუშაობა სამხედრო რადიოქარხანაში, განყოფილების უფროსის თანამდებობაზე გააგრძელა.

აფხაზეთის ომი დაიწყო... კვლავ ჭაბუკური ცეცხლი დატრიალდა ფირუზის გულში! 1993 წლის იანვრიდან აფხაზეთში

კვალს მტვერს აცლის და ბუნებასთან დამეგობრებული, თავისი ფიქრისა და განცდის გადატანას ხან ფურცელზე, ხან კიდევ ტილოზე ცდილობს. ასე შეიქმნა ათეულობით ნახატი, ლექსი... გამხმარი ხის გასანადგურებლად გამეტებულ ნაწილებს შემოქმედის ხელი შეახო და სული ჩაუდგა...

უყურებ, თვალი საგნიდან საგანზე გადაგაქვს და, მრავალფეროვნებით აღფრთოვანებულს, თითქოს აღქმაც



გიჭირს... მისი ნამუშევრების გვერდით, დაირა ინონებს თავს და ოჯახის ისტორიას უღარუნ-უღარუნით ჰყვება:

კახეთიდან უსამართლობას გამოქცეულ ოსტატის პაპას ქვიშხეთში, ბატონ სუმბათაშვილისთვის მიუმართავს, რომელსაც მოხერხებული ბიჭი მზარეულად დაუყენებია. სწორედ აქ გაუცნია მომავალი მეუღლე, ბატონის მსახური ვარო სადუნიშვილი და მასზე დაქორწინებულა. ბულბულისციხის თავზე პატარა სოფელი ყოფილა მაშინ, ტბა რქმევია და, იქ, ვაროს მშობლების გვერდით, დაუდგამთ პატარა სახლი. იქიდან დადიოდნენ სამსახურში, სუმბათაშვილებთან. სწორედ ამ სასახლის ისტორიის ნაწილს წარმოადგენს კედელზე „მიჯაჭვული“, ყვითელთვალა დაირა, რომელიც ერთადერთი ნივთია, რაც პაპისა და ბებუის სახსოვრად შემორჩენია ბ-ნი ფირუზის ოჯახს.

– სუფრასთან მჯდომი სუმბათოვი დამიძახებდა: „ვარო, ჩქარა ყანნი!“ – უკვე ვიცოდი, რაც უნდა მექნა – სასწრაფოდ მივუტანდი დიდ ყანწს, რომელიც სპეციალურად მქონდა „დამუშავებული“. ბატონი ყანწს დაცლიდა და მთელი მედიდურობით, ალავერდის გადასვლამდე, ისევ მე მომანოდებდა. მეც, სასწრაფოდ, გავარბენინებდი, გამოვაცლიდი შიგთავსს და უკან ვუბრუნებდი, – ღიმილით იხსენებს ბ-ნი ფირუზი ვარო ბებოს მონათხრობს.

„მხოლოდ ოსტატს ვერ ეწევა სიკვდილი!“ – მერამდენედ მასხენდება დიდი კონსტანტინე. ბ-ნი ფირუზის ცხოვრების სიღრმისეულად აღწერა ბევრ ხელჩაქნეულს გამოაცოცხლებდა და იმედს ჩაუსახავდა. რადგან, რაც ძალიან გინდა, აუცილებლად მიაღწევ!..

ბანი ადვილი დასატკეპნია, გზის გაკვლევაა მთავარი!

**P. S.** სულ მალე 2021 წელი შემოაბიჯებს დედამიწაზე. იმედია, უკან დავეტოვებთ შეშლილი სამყაროს ავისმომასწავლებლ ბორგვას... დაწყნარდება აქაფებული მდინარე, რომელიც არაფერს და არავის ინდობს და ისევ შევძლებთ, როგორც გვჩვევია, სიყვარულით გაჯერებული დღესასწაულები მოვუწყოთ ერთმანეთს!..

ბედნიერი ახალი წელი გაგთენებოდეს, მამულო, ჩემო! ბატონო ფირუზ, მრავალჟამიერ!

კლარა გელაშვილი



წავიდა. საბრძოლო ავიაცია მისი საქმე იყო და სამხედრო საჰაერო ძალების შტაბის უფროსის მოადგილე მთელი პასუხისმგებლობით ასრულებდა თავის მოვალეობას, რომელიც სამშობლოს წინაშე ღირსეულად ვალმოხდის ყველაზე მტკივნეული და უშედეგოდ დასრულებული მცდელობა იყო.

60 წლისა უკვე ასაკობრივ პენსიაზე გავიდა. არ ელოდა, რომ საბჭოთა კავშირის სამსახურში ყოფნის გამო, პენსიას არაკანონიერად მიიჩნევდნენ და შეავინროვებდნენ... ფირუზ ჩინჩიკაძე დღემდე მიიჩნევს, რომ მაშინ, ყველასთვის, ერთი სამშობლო და ერთა კავშირი იყო. მისი ცხოვრების ლოზუნგად სკოლის პერიოდში, ავლაბრის კომისარიატში მოსმენილი, რუსი გენერლის მიერ ქართულად წარმოთქმული სიტყვები იქცა: „**ადამიანი მაშინ ხარ, თუ სამშობლოს ღირსეულად ემსახურები!**“ როგორც ასწავლიდნენ, ფირუზიც ისე ემსახურებოდა სამშობლოს. ღირსეული კაცი იყო და სადაც ტაძარი ნახა, ყველგან ილოცა!

ფირუზ ჩინჩიკაძემ ოჯახის ტვირთი ღირსეულ მეუღლესთან, ქ-ნ იზო ტალახაძესთან ერთად ატარა. სამი შვილის წინაშე ვალი კეთილსინდისიერად მოიხადა, კარგი განათლება მისცა, სამშობლოს სიყვარულიც ასწავლა და ცხოვრების ტალღებში ძლიერი ხომალდით შეაცურა. რამაზი მამის გზას გაჰყვა – დღემდე საქართველოს ავიაციის სამსახურშია; ომარც მეტად საპასუხისმგებლო და ქვეყნის კეთილდღეობისთვის საჭირო საქმეს ემსახურება. ძმის ხსოვნასაც პირნათლად უერთგულა, – დაქვრივებულ, უშვილო, ახალგაზრდა რძალს გლოვის საშუალება მისცა, მერე ღირსეული მეუღლე შეურჩია და მზრუნველობით დააბინავა. დღემდე ახლო ურთიერთობა აქვს მის ოჯახთან.

ფირუზ ჩინჩიკაძემ, საბოლოოდ, ქვიშხეთში, ბულბულისციხეს მოაშურა. ადრე გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე ბავშვობის



\* \* \*

„ვიქნები თუ არ ვიქნები ვითარცა ერი ხვალ, ზეგ, მერმისს? გადავრჩები, თუ ვერ გადავრჩები, ვიარსებებ თუ ვერ ვიარსებებ?!“ – აი, მარადიულ შემარყეველი საფიქრალი და „საკითხავი“ მცირერიცხოვანი ერებისა.

დანასისხლად გადამტერებული საისტორიო ბედისწერისაგან ქართველ ერს მაინც დასდევდა იღბალი: ყოველ უმძიმეს, ეროვნული ყოფნა-არყოფნის მდგომარეობათა შექმნის ჟამს უნდა გამოჩენილიყო ვინმე ეროვნული წინამძღოლი, მოძღვარი, ერისმთავარი, მესაჭე, ბელადი, გვირგვინოსანი თუ უგვირგვინო მეფე, რომელიც ზეგარდმო ნიჭით, უტყუარი ალლოთი და გემით, ვითარცა მოსე, უწინამძღვრებდა და გამოიყვანდა მშობელ ხალხს უეჭველად დაღუპვის მარგულებელი სამყაროდან.

მეცხრამეტე-მეოცე საუკუნეთა მიჯნაზე ძნელი იყო ერისმთავრობა, ერისმოდვრობა, ერისმწყემსობა, – ძნელი იყო, რადგან უამრავი „იზმით“ ავსებულიყო აზროვნების ბედისწერით ატანილი ეს დრო-ჟამი: კაპიტალიზმი, იმპერიალიზმი, კოლონიალიზმი, მილიტარიზმი, ანარქიზმი, ცარიზმი, შოვინიზმი, ნაციონალიზმი, მონარქიზმი, პარლამენტარიზმი, ანტაგონიზმი...

და ვინ მოთვლის, კიდევ რამდენი „იზმი“?! ხოლო ყოველი „იზმი“ თავის საკუთარ, თავის სასისხლოს მოითხოვდა. დიახ, სისხლს! კაციშვილის სისხლს!

მცირერიცხოვანი ერები კი განსაკუთრებით ზარალდებიან მსოფლიო „იზმებისთვის“ უზღვავე სისხლის გაღებით...

მცირერიცხოვანი და აქტიური ერები!.. ასეთი იყო ქართველი კაცი – მუდამ მსოფლიო აქტიურობით და ყოველ მსოფლიო მოძრაობაში უაღრესი ეროვნული ნოვატორიზმით. ასეთი იყო იგი ძველ საუკუნეებში, ასეთი იყო შუა საუკუნეებში, ასეთად დარჩა ახალ საუკუნეშიც.

მეცხრამეტე საუკუნე მსოფლიო „იზმების“ ციებ-ცხელებას მოეცვა და საქართველოც, ვითარცა მსოფლიო გლობალურ მოვლენათა უაღრესად აქტიური ნაწილი (ცხელი ნერტილი), ამავე ციებ-ცხელებით იყო შეპყრობილი.

ძნელი იყო მაშინდელ საქართველოში ერისმთავრობა და მწყემსმთავრობა, ძნელი იყო, ვინაიდან ბევრი იჩემებდა ერისმთავრობას, მწყემსმთავრობას, ბელადობას, მესაჭეობას და სხვათა მისთანათა.

და ყოველ მათგანს ცალკეულად აეჩემებინა, რომ მას, ერთადერთს, ეპყრა ხელში მოსეს კვერთხიც, დავითის ქნარიც და სოლომონის ბეჭედიც!..

ერი ჩვენი, ერი ქართველი, გონებით საკვირველი და სინდისით... გონება, სინდისი – მეთერთმეტე საუკუნემდე ორივე ერთ ცნებაში ჰქონდა მოქცეული ქართველ კაცს და ორივეს ერთად გონება ერქვა. გონება ამხელდა, გონება კარნახობდა, გონება ქენჯნიდა, გონება ანუხებდა.

დასაბამიდან იგულისხმებოდა ესეც: გონება არის ადამიანი და რაკი შექმნილხარ ადამიანად, გონება არის შენი ზნეობაც. ხოლო, შემდგომ, ვინ იცის, რა საზოგადოებრივმა წვა-დაგვამ გახლიჩა გონება ცალკე წმინდა გონებად და ცალკე კიდევ შინაზნეობრივ მი-მო-ქცევად...

ხშირად ადამიანებს უფრო ენადნიერებათ და ეხერხებათ მოკვლა საკუთარი ღმერთისა...

ცოცხალ ღმერთს ვერ იტანენ! მკვდარი ღმერთი კი უყვართ, – თვითონვე რომ მოჰკლავენ და თვითონვე გააღმერთებენ...

და მოჰკლეს ღმერთი ჰებრაელთა... ხელი შეიგინეს სამარადჟამოდ... ანდა, რომ არ მოეკლათ, იქნებ ღმერთი არც იქნებოდა?!

ლევან სანიკიძის წიგნიდან „დედა-ისტორია“.

### იყიდება საქართველო!

იყიდება საქართველო...

მინდორ-ველით; მთა-გორით; ტყით; ვენახით; სათესით; წარსულის ისტორიით, მომავალი სვე-ბედით; მშვენიერის ენით; ნაქარგი ფარჩა-ხავერდით; ვაჟკაცურის ხასიათით, სტუმართმოყვარეობით; დიდებულის სანახაობით, წმინდა ჰაერით; ნაამაგვეი სახლით და კარით; ჩუქურთმიანი მონასტრებით და ეკლესიებით; მიქეფარე ნაკადულებით; ლურჯის ზღვით; მოწმენდილ-მოკაშკაშებული ცით; ერთ, ბერთ; თვალწარმტაც ბანოვანთა გუნდებით; გონებაგახსნილ ვაჟებით; მალხაზი ბავშვებით; ვერცხლისფერ თმით შემოსილ, პატივსადებ მოხუცებით...

იყიდება საქართველო დედით და მამით, შვილით და ძირით, ძმით, დით, ცოლით და ნათესავ-მოყვრებით.

ჰყიდის ყველა: თავადი, მღვდელი, ვაჭარი, ავაზაკი, დიდი და პატარა, ჭკვიანი და სულელი, ლოთი და პირაკრული.

იყიდება ყველგან: ქუჩაში და სახლში, თეატრში და სასამართლოში, სასწავლებელში, სატუსალოში, ეტლში, მატარებელში, დილით და ღამით, სიცხეში და სიცივეში, დარში და ავდარში.

იყიდება ერთიანად: შავი ზღვიდან კასპის ზღვამდე და ოსეთიდან სპარსეთამდე.

იყიდება ნაწილ-ნაწილ: კახეთი და იმერეთი, ქართლი, სვანეთი და სამეგრელო, გურია და ლეჩხუმი, რაჭა და ჯავახეთი.

იყიდება პატარ-პატარა ნაჭრებად, ვისაც რამდენი სურს და როგორც უნდა: ნისიად, უფასოდ, ნაღდად, დროებით და სამუდამოდ, ბანკის დახმარებით და ჩვენის საშუალებით.

იყიდეთ ბარემ მთლად, განწენეთ და გაგლიჯეთ, რასაც საქართველო ერქვა და, რაც, დღეს, ოხრად დარჩენილი, აძლებს ყორნებს და გულს უკლავს უძლურ ჭირისუფალს!

### ნიკო ლორთქიფანიძე

### ნ ი ლ ბ ე ბ ი

ფრთებმომსხვრეული მტრედები  
სიზმარში მინდვრად ეყარა,  
ეს, რა დამართეთ სამშობლოს! –  
ნილბად მიქციეთ ქვეყანა!  
ითვლი ჩახლეჩილ იარას,  
ითვლი და აღარ იღლები...  
ყველგან უსულო ცრემლები!  
ნილბები... ყველგან ნილბები!  
ირგვლივ მონური სიჩუმე!  
ყველგან ცრუ შიშის ლანდები!  
დრო დარდით ლოკავს ქვამარილს,  
მარილო, მაინც არ დნები!  
უდაბნოდ იქცა ქვეყანა  
ამ შემზარავი იღბლებით!  
ლამის, ჩიტებსაც ააკრან  
ეს ცოდვიანი ნილბები!  
ეჰ, დალოცვილო მამულო,  
რა ბურანს ეთამაშები!  
ქუჩაში მიტიტინებენ  
ნილბებიანი ბავშვები!..  
... ირგვლივ მონური სიჩუმე!  
ყველგან ცრუ შიშის ლანდები!!!  
დრო დარდით ლოკავს ქვამარილს!  
მარილო, მაინც არ დნები...

### ლამზირა ფირცხალავა

